ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თევდორე კობახიძის

2016 წლის პირველი ნოემბრიდან 2017 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

როგორც დედაქალაქის საკრებულოს წევრი და ამავდროულად საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე წარმოგიდგენთ 2016 წლის პირველი ნოემბრიდან - 2017 წლის ათი ნოემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

აღნიშნულ ანგარიშში გაგაცნობთ ჯამურ სტატისტიკურ მონაცემებს, თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ჩატარებული სხდომებისა და განხილული საკითხების/განცხადებების ნაწილის შესახებ ინფორმაციას, ასევე მოსახლეობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე - შემუშავებულ/განხორციელებულ კანონპროექტებსა და ღონისძიებებს.

რაც შეეხება სტატისტიკას, მოგახსენებთ, რომ იურიდიულ საკითხთა კომისიამ 2016 წლის ნოემბრიდან - 2017 წლის ათ ნოემბრამდე პერიოდში ჩაატარა **36** (ოცდათექვსმეტი) სხდომა, რომლებზეც მიღებულ იქნა **83** (ოთხმოცდასამი) დადგენილება და **219** (ორას ცხრამეტი) განკარგულება.

აქვე მოგახსენებთ, რომ საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ, რომლის წევრიც გახლავართ, საანგარიშო წლის პერიოდში ჩაატარა **25** (ოცდახუთი) სხდომა და განიხილა **813** (რვაასცამეტი) საკითხი.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" წევრი, აღვნიშნავ, რომ ჩატარებული გვაქვს არაერთი ღონისძიება და ამასთან მუდმივად ვანხორციელებთ მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად ცალკეული საკითხების განხილვასა და მათი ანგარიშების მოსმენას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში აღნიშნულ პერიოდში შემოსულ **313** (სამასცამეტი) განცხადება/წერილზე ჩვენი მხრიდან განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, ასევე ჩემი და კომისიის სამდივნოს

თანამშრომლების მხრიდან ასობით მოქალაქეს გაეწია ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

ანგარიშის ფარგლებში მიმოვიხილავ რამდენიმე მნიშვნელოვან ნორმატიულ აქტს, რომელიც მიღებულ იქნა საანგარიშო პერიოდში:

- **2016 წლის პირველ ნოემბერს** კომისიის სხდომაზე განვიხილეთ ამავე საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიისა და საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" მიერ, ინიცირების წესით, წარმოდგენილი **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს"** შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიცირების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ზემოაღნიშნული ცვლილებები განაპირობა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლითაც თვითმმართველობას დაევალა მუნიციპალური გენდერული საბჭოს შექმნა. მოცემული საბჭო საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან ერთად განიხილავს არსებულ პრობლემურ საკითხებს.

- იურიდიულ საკითხთა კომისიამ იმსჯელა და დადებითი შეფასება მისცა თბილისის მერის მიერ ინიცირებულ პროექტს „მთლიანად ან ნაწილობრივ ფრანკოფონი დედაქალაქებისა და მეტროპოლიების მერებისა და ხელმძღვანელთა საერთაშორისო ასოციაცია (AIMF), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - „თბილისის განვითარების ფონდს" შორის გასაფორმებელი „ფინანსური მხარდაჭერის შესახებ ხელშეკრულების" გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ", რომელიც ითვალისწინებდა 100 000 (ასი ათასი) ევროს ექვივალენტი ლარის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღმდგენ რესტავრატორთა გადამზადებას.

- **2016 წლის 18 ნოემბერს** ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემების აღმოფხვრისა და საკითხთან დაკავშირებით ხედვების გაზიარების მიზნით, ჯანდაცვის ასოციაციის დირექტორს **ნინო მიქავასთან** ჩავატარეთ სამუშაო შეხვედრა

და მას შემდეგ აქტიურად ვთანამშრომლობთ ასოციაციასთან, რომელიც ამ დროისთვის ქვეყნის მასშტაბით 75 (სამოცდათხუთმეტი) კერძო კლინიკას აერთიანებს.

ქალბატონ **ნინო მიქავას** გავაცანი ჩემს მიერ საქართველოს პარლამენტში წარსადგენი საკანონმდებლო ინიციატივები და დავგეგმეთ სამომავლო ღონისძიებები, რომლებიც ჯანდაცვის სფეროში არსებულ კონკრეტულ ხარვეზებს აღმოფხვრიდა.

- **2016 წლის 6 დეკემბერს** თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე განვიხილეთ ჩემი ინიციატივით შემუშავებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2004 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების პროექტი, რომლის **თანახმად, შესაძლებელი იქნება, რომ თბილისში, სატრანსპორტო შეღავათებით სარგებლობა შეძლონ არა მხოლოდ თბილისში რეგისტრირებულმა ომის ვეტერანებმა, არამედ, რეგიონებში მცხოვრებმა** ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებმაც.

ვთვლი, რომ საქართველოს რეგიონებში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, რომელთა რიცხვი სამწუხაროდ, ყოველწლიურად კლებულობს და ასევე, აფხაზეთისა თუ სამაჩაბლოს ომის ვეტერანები იმსახურებენ მსგავს თანადგომასა და ყურადღებას.

აღსანიშნავია, რომ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლითაც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაეწია კონკრეტული რეკომენდაცია 2004 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში, აღნიშნული ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.

- იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომებზე პერმანენტულად ვიხილავთ მოქალაქეების მომართვის საფუძველზე დასმულ პრობლემური საკითხებს, მათ შორის განვიხილეთ - **პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქუჩა N18-ის მცხოვრებელთა, რომლებიც არიან 2002 წელს მიწისძვრის შედეგად დაზარალებული 300-მდე პირის**, საცხოვრებელი ფართების დაკანონებასთან დაკავშირებული საკითხი.

მას შემდეგ რაც ზემოაღნიშნულ მისამართზე მქონდა რამდენიმე გასვლითი შეხვედრა და ადგილზე გავეცანი ადგილობრივ მაცხოვრებელთა პრობლემებს, დავნიშნე კომისიის სხდომა, რომელზეც მოვიწვიე შპს „**საქსპეცტრანს**"-ის (რომელსაც ამჟამად ეკუთვნის ზემოაღნიშნული ფართი) წარმომადგენელი **ნუგზარ კალანდაძე**,

რომელმაც შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდეგ აღნიშნული ფართების მიწისძვრით დაზარებულთათვის გადაცემაზე თანხმობა განაცხადა.

ზემოაღნიშნული თანხმობის შემდეგ ჩემი ინიციატივით საკრებულოს დეპუტატებმა იურიდიული კომისიის სხდომაზე შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად განვიხილეთ **პოლიტკოვსკაიას ქუჩა N18-ის მცხოვრებელთა** საკითხი და დადებითი გადაწყვეტილება მივიღეთ, რაც 2017 წლის 11 იანვარს ვაკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან **ზაზა ხუციშვილთან** ერთად გავაცანი **2002 წელს** მიწისძვრის **შედეგად დაზარალებულ პირებს.**

- **2016 წლის 7 დეკემბერს სასტუმროში „The Biltmore hotel Tbilisi" ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმში მივიღე მონაწილეობა.**

საერთაშორისო ფორუმი (LED), რომელიც საქართველოში 2007 წლიდან იმართება, მუნიციპალიტეტების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად უნიკალური რეგიონალური პლატფორმა გახდა და ის მონაწილეებს ერთმანეთისთვის საკუთარი იდეების და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას აძლევს.

ფორუმი კერძო და საჯარო სექტორის, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებს შორის მომავალი თანამშრომლობის დამყარებისთვის კარგი შესაძლებლობაა და ვთვლი, რომ მსგავსი თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია საჯარო სექტორის განვითარებისთვის.

- **იურიდიულ საკითხთა კომისიამ** მ/წელს **განვიხილეთ „თბილისის** მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების კიდევ ერთი პროექტი.

იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულ პირთა დახმარების პროცესი იმ ეტაპისათვის დასრულებული არ იყო და რამდენიმე ოჯახისთვის კომპენსაციის გაცემის პროცედურები 31 მაისამდე ვერ ესწრებოდა, დაზარალებულთა დახმარების განხორციელების ვადა გაგრძელდა 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ვადაში შესაბამის სამსახურს შესაძლებლობა მიეცა თითოეული დაზარალებული ოჯახისთვის სრულად გაეცა კომპესაცია.

- **2017 წლის 27 იანვარს** დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად მონაწილეობა მივიღე ფორუმში „მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება ადგილობრივ თვითმმართველობაში“.

  ღონისძიება ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს ოფისის დირექტორმა **ლორა თორნტონმა** პოლონეთის ქალაქ ვადოვიცეს მერთან **მატეუშ კლინოვსკისთან** ერთად გახსნა და დამსწრე საზოგადოებას არჩეული თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შორის კომინიკაციის თემაზე NDI-ის კვლევისა და ფოკუს ჯგუფების პრეზენტაცია წარუდგინა.

  ფორუმზე განხილულ იქნა ადგილობრივ თვითმმართველობებში მოქალაქეთა ჩართულობის აუცილებლობის მნიშვნელობა, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, გაკეთდა არსებული კანონმდებლობის ანალიზი და შედგა საუბარი სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

- მ/წლის 31 იანვარს **„ბავშვთა სამყაროში“** მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებულ პირებს ჩემი ინიციატივით შუამდგომლობა გაეწიათ მომიჯნავე ბაზრის - შპს „ბაქანის“ დირექციასთან და ზემოაღნიშნული ობიექტის დირექტორის - ბატონ **თორნიკე წერეთლის** ხელშეწყობითა და დახმარებით დაახლოებით 100 (ასი) დაზარალებულს შეღავათიანი პირობებით გამოეყოთ შესაბამისი სავაჭრო ფართები.

- სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე არაერთმა მოქალაქემ მომმართა საანგარიშო წელიწადში, რომელთაც შესაბამის სამსახურებში გაეწიათ შუამდგომლობა, მათ შორის - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურთან სამედიცინო კვლევების დაფინანსების თაობაზე, რომელთა დაფინანსების საკითხი დადებითად გადაწყდა და შესაბამისად მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეწყო ხელი.

- **მ/წლის 3 თებერვალს** იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“** დადგენილების პროექტს, რომლითაც დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგია.

  წინამდებარე სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა კანონის შესაბამისად დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის პირველი ნოემბრის №26-80

დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, რომლის მოთხოვნათა შესაბამისად შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო და განისაზღვრნენ გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები.

აღნიშნული სტრატეგიის მიზანია, ხელი შეეწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტიან რეალიზებას.

სტრატეგია შედგება სამი თავისაგან. პირველი თავი მოიცავს სტრატეგიის მიზნებს, პრინციპებსა და სამართლებრივ საფუძვლებს, მეორე თავი - ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს 2017-2020 წლებისათვის, ხოლო მესამე თავი - სტრატეგიის განხორციელების მექანიზმებსა და მონიტორინგს.

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- ✓ საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
- ✓ კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებისა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
- ✓ სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.

➢ **მ/წლის 24 თებერვალს** კომისიის სხდომის ფარგლებში განვიხილეთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

დადგენილების პირველი მუხლით დავამტკიცეთ შემდეგი წესები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“

(კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების წესი“ (**დანართი N1**) - **ითვალისწინებს** თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებულ სტუდენტებზე სტიპენდიის გაცემის პირობებსა და წესს.

წესის მიზანია სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული და წარმატებული სტუდენტების წახალისება სტიპენდიის გაცემის გზით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესი“ (**დანართი N2**) - **განსაზღვრავს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის უმაღლეს საგანმათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაფინანსების წესსა და პირობებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში.

დაფინანსების გაცემის მიზანია სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარება შრომის ბაზარზე წარმატების მიღწევისა და ღირსეული დასაქმებისათვის. დასახული მიზნის მისაღწევად ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის სემესტრული საფასურის დაფარვა 100%, 70% ან 50% პროცენტის ოდენობით, სახელმწიფო სასწავლო გრანტის ან/და სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შემოვიდა ახალი კომპონენტი დოქტორანტების დაფინანსების სახით, რასაც აქამდე ქვეპროგრამა არ ითვალისწინებდა. კომისიამ შესაბამისი სამართლებრივი და ტექნიკური შენიშვნების გათვალისწინებით მხარი დავუჭირეთ ხსენებული წესების დამტკიცებას.

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებით დამტკიცებული წესი არ ითვალისწინებდა კონკრეტულ საჯარიმო სანქციას, ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც ტროტუარზე, შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთათვის გამოყოფილ ადგილას მოქალაქეები აჩერებენ სატრანსპორტო საშუალებას.

ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით **მ/წლის 7 აპრილს** იურიდიულმა კომისიამ იმსჯელა თბილისის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და წესში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა ან/და მესაკუთრემ სატრანსპორტო საშუალების პარკირება უნდა მოახდინოს მისთვის ნებადართულ ერთ პარკირების ადგილზე და ისე, რომ არ გააჩეროს ტროტუართან მისასვლელ შემაღლებაზე და მის სიახლოვეს ისე, რომ დაბრკოლება შეუქმნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის გადაადგილებას.

დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევის მიმართ გატარდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^2 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ზომები, რომლის თანახმადაც:

დედაქალაქის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დადგენილი ავტოტრანსპორტის პარკირების წესების სხვა დარღვევა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ამასთანავე, ავტოტრანსპორტს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე ან მის თვლებს გაუკეთებს ბლოკირებას სპეციალური საშუალებით, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს. სპეციალურ სადგომზე გადაყვანა დასაშვებია, თუ ავტოტრანსპორტი აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას. ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ჯარიმასთან ერთად დაეკისრება დამრღვევ მძღოლს ან ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ **სურვილის შემთხვევაში, საცნობი ნიშნის მიღების შესაძლებლობა ამ ცვლილების შემდეგ ნებისმიერი არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის (და არა მხოლოდ მკვეთრად გამოხატული) კანონიერ წარმომადგენელს მიეცა.**

- **მ/წლის 28 აპრილის სხდომაზე განვიხილეთ,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ინიცირების წესით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომელიც

ითვალისწინებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებების განხორციელებას:

- ✓ **საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი ერთი მიმართულებით, რომლის საფასურიც შეადგენდა 1 (ერთი) ლარს უნდა გაზრდილიყო და განსაზღვრულიყო 2 (ორი) ლარით.**

იურიდიულ საკითხთა კომისიის მ/წლის 24 მარტის სხდომაზე მოცემული საკითხის განხილვისას, მას შემდეგ რაც გავარკვიე, რომ საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ გადაყვანილი მგზავრების დაახლოებით 80%-ს შეადგენდა ტურისტი, ხოლო „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბის“ მომხმარებელი ძირითადად ადგილობრივი მოქალაქე იყო, ამავდროულად ამ უკანასკნელზე დღიური მოთხოვნა შეადგენდა დაახლოებით 1000 (ათასი) მგზავრს, ხოლო „**რიყე-ნარიყალაზე**“ 6000 (ექვსი ათასი) - დავაყენე ინიციატივა, რომ საბაგირო გზის „**ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა**“ სამგზავრო ტარიფს არ განეცადა ცვლილება, ხოლო საბაგირო გზის „**რიყე-ნარიყალა**“ სამგზავრო ტარიფი შემოთავაზებული 2 (ორი) ლარის ნაცვლად გაზრდილიყო და გამხდარიყო 2.5 (ორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი.

რადგან საბაგირო გზით „**რიყე-ნარიყალა**“ გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობა მკვეთრად აღემატება საბაგირო გზით „**ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა**“ - მგზავრთა რაოდენობას, აღნიშნული ფასის ნამატი სრულიად საკმარისი იქნება საბაგირო ტრანსპორტის გამართული მუშაობის, მიღებული შემოსავლებით მოქალაქეების გარანტირებული მომსახურებისათვის კაპიტალური რემონტების შეუფერხებლად ჩატარებისა და სხვა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯების დაფარვისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა დაეთანხმა ჩემს წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ცვლილება განეცადა მხოლოდ საბაგირო გზის „**რიყე-ნარიყალა**“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის საფასურს.

შესაბამისად, იურიდიულმა კომისიამ და საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ჩემი ინიციატივის გათვალისწინებით დაუჭირეს საკითხს მხარი და შესაბამისად საბაგირო გზის „**ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა**“ სამგზავრო ტარიფმა არ განიცადა ცვლილება.

მ/წლის 8 მაისის კომისიის სხდომის ფარგლებში განვიხილეთ, მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ინიცირების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

აღსანიშნავია, რომ ამ წესის შემუშავებით ერთის მხრივ შევავსეთ საკანონმდებლო ვაკუუმი, ვინაიდან ჩამორთმეული ქონების განკარგვის წესი არ არსებობდა, ხოლო მეორეს მხრივ სოციალური მიმართულება მივეცით კონფისკაციას დაქვემდებარებულ ქონებას, რადგან ჩამორთმეული ქონების გადაცემა ამ წესის შესაბამისად მოხდება იმ იურიდიული პირებისათვის ვინც ახორციელებს სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, თავშესაფარში მცხოვრები ან სხვა გარემოების გამო სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის მომსახურების გაწევა/დახმარებას.

- **მ/წლის 2 ივნისის** კომისიის სამუშაო სხდომის ფორმატის ფარგლებში განვიხილეთ, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე მდებარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ მოქალაქეთა **N6337** განცხადება მათ სარგებლობაში არსებული ფართების პრივატიზების თაობაზე შუამდგომლობის გაწევის შესახებ საკითხი.

  ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში გასული წლების წინ ჩასახლებულ ოჯახთა უმეტესობამ დაირეგისტრირა მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართები. ხოლო, მოქალაქეთა გარკვეულმა ნაწილმა, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული წელია ცხოვრობენ, მოცემულ დრომდე ვერ შეძლეს მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების დაკანონება.

  აღსანიშნავია, რომ ხსენებულ მოსახლეობასთან არაერთგზის განხორციელდა კომუნიკაცია, საბოლოო ჯამში კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან კოორდინაციის საფუძველზე შუამდგომლობა გადავაგზავნე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

- **მ/წლის 14 ივლისის კომისიის სხდომაზე განვიხილეთ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ

ინიცირების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შემუშავების აუცილებლობა განაპირობა ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის **28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებმა,** რომელიც საქართველოს თითოეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს ავალდებულებს, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში გამოსცეს ნორმატიული აქტები.

დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების ქცევისა და ეთიკის ნორმების დადგენის შესახებ, დადგენილების პროექტზე მუშაობის პროცესში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდა: იურიდიულ საკითხთა კომისია; სარევიზიო კომისია; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური და თბილისის საბავშვო ბაგა- ბაღების მართვის სააგენტო.

კომისიამ მხარი დაუჭირა დადგენილებას, რომლის **მიზანია** ქ.თბილისში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებლი დაწესებულებების (როგორც საჯარო, ასევე კერძო) პერსონალისთვის **სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების განსაზღვრა, დაწესებულებების მიერ ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.**

დადგენილებით დავამტკიცეთ სამსახურებრივი ინსტრუქციები ზემოაღნიშნული დაწესებულებების პერსონალისათვის, მათი ქცევისა და ეთიკის ნორმები თითოეულ ბავშვთან, ბავშვის ოჯახის წევრებთან და ასევე, კოლეგებთან (თანამშრომლებთან) ურთიერთობის დროს. დადგენილება დამატებით, ადგენს ისეთ მოთხოვნებს, როგორებიცაა პერსონალის მიერ გარემოს დაცვაზე ზრუნვა, მომსახურებათა გაუმჯობესების მიზნით სკოლამდელი აღზრდის სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ა.შ.

- მ/წლის 25 ივლისის კომისიის სხდომაზე ცვლილებები შევიტანეთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების წესში“.

ზემოაღნიშნული განაპირობა ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2017 წლის 28 ივნისის საქართველოს კანონის მიღებამ, რომლის მიხედვითაც 17^2-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელიც ითვალისწინებს, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანო (ხოლო ქ. თბილისში - ქ. თბილისის მთავრობა) უფლებამოსილია სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელთან, რომელსაც 2017 წლის პირველი ივნისის მდგომარეობით ეკისრება მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, წერილობითი განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე მოსაკრებლის გადახდის განწილვადების შესახებ, თუ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე განცხადება უფლებამოსილ ორგანოში წარდგენილი იქნება 2020 წლის პირველ იანვრამდე და შენობა-ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

შესაბამისად ზემოაღნიშნული ცვლილების მიღებით შეიქმნა გადასახდელი მოსაკრებლის განაწილვადების შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს მშენებლობის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის ფინანსური ტვირთის შემსუბუქებას, იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს არც ადგილობრივ ბიუჯეტს და არც მესამე პირთა ინტერესებს.

- **მ/წლის 15 აგვისტოს** სხდომის ფარგლებში განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ ,,Rockefeller Philanthropy Advisors, Inc- ფონდს”-ს შორის ,,100 მედეგი ქალაქის ინიციატივის ფარგლებში, გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ ,,Rockefeller Philanthropy Advisors, Inc.“-ისგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გრანტის გამოყოფის მიზანია, გრანტის მიმღებ მუნიციპალიტეტს დაეხმაროს სხვადასხვა ტიპის შესაძლო სტიქიური უბედურებების, საფრთხეების, გამოწვევებისა და არაჯანსაღი გარემოს დროს სასიცოცხლოდ აუცილებელი ფუნქციების შენარჩუნებისა და აღდგენის

შესაძლებლობების განვითარებაში, ასევე იმაში, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოებმა და მთლიანად სისტემამ შეძლოს ასეთი სტიქიური უბედურებების, საფრთხეებისა და გამოწვევების დროს სასიცოცხლოდ აუცილებელი ფუნქციების შენარჩუნება და სირთულეების დაძლევა.

- **მ/წლის 15 აგვისტოს** იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ ქ. თბილისში, ცაიშის ქ. N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.009) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროით ფლობდნენ და სარგებლობდნენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

  კოისიის სხდომაზე მერიის შესაბამის სამსახურებს ჩემს მიერ მიეცათ რეკომენდაცია, რომ აღნიშნული საკითხის მსგავსად, ბაგების სტუდქალაქის მაცხოვრებლების (ჯამში 12 ოჯახი) და ჯიქიას ქ. N18-ის მაცხოვრებლების (ჯამში 300-მდე ადამიანი) საკითხს მოეკიდონ განსაკუთრებული ყურადღებით, რათა მიმდინარე ბიუროკრატიული პროცედურების დამთავრების შემდგომ, დროულად მოხდეს მათი წლების მოუგვარებელი პრობლემის გადაწყვეტა.

- აქტიური კომუნიკაცია მაქვს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მათთან შემდგომი ურთიერთობის გაძლიერების მიზნით გაფორმებული მაქვს არაერთი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი.

  მ/წლის 19 ოქტომბერს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმე მორიგ 3 (სამ) არასამთავრობო ორგანიზაციასთან **„საქართველოს ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირთან“**, კავშირი - ,,21-საუკუნე“-სთან და **„ინიციატივა** სამოქალაქო **საზოგადოებისათვის“**.

  აღნიშნული მემორანდუმის მიზნებია აქტიური თანამშრომლობა იურიდიული სფეროს მიმართულებით, პროცესების ეფექტიანობის ამაღლებისა და განვითარებისთვის, რათა ხელი შეეწყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სამოქალაქო თვითშეგნების, სამართლებრივი და ტოლერანტობის კულტურის ამაღლებას; კანონშემოქმედებით საქმიანობაში ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და ახალგაზრდების უნარ-ჩვევების განვითარებას.

- **იურიდიულ საკითხთა კომისია, როგორც დედაქალაქის საკრებულოს წამყვანი** კომისია, კვლავ განაგრძობს სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით მუშაობას.

დღეის მდგომარეობით ხელოვნებისა და კულტურის დამსახურებულ მოღვაწეთა სახელობითი ფილების (ვარსკვლავის) განთავსების საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო სივრცეში არსებობს ვაკუუმი.

შესაბამისად, პროცესის დარეგულირებისა და სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის მიზნით, ჩემს მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტის პროექტი, რომლის მიხედვითაც კომპეტენტურ ორგანოს მიენიჭება უფლებამოსილება, განიხილოს და გადაწყვიტოს ხელოვნებისა და კულტურის ამა თუ იმ მოღვაწისათვის ვარსკვლავის გახსნის საკითხი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ კუთხით გაუთვალისწინებელი და ერთპიროვნული გადაწყვეტილებები და გამოჩენილ პირთათვის ვარსკვლავის გახსნის გადაწყვეტილება მიღებული იქნება, მხოლოდ იმ დამსახურების ობიექტური განხილვისა და შეფასების შემდგომ, რაც შესაბამის პირს გააჩნია ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

შემუშავებული პროექტის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალება შესაბამისი ტერიტორიის გამოყოფა და ხელოვნებისა და კულტურის დამსახურებულ, როგორც ცოცხალ ასევე გარდაცვლილ მოღვაწეთათვის პატივის მისაგებად **„დიდების ხეივნის“** მოწყობის უზრუნველყოფა, სადაც განთავსდება ხსენებული პირების სახელობითი ფილები (ვარსკვლავები).

აღნიშნული წესის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს კულტურის და სპორტის დამსახურებული მოღვაწეები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომელზეც მოხდა წესის საბოლოო პროექტის ჩამოყალიბება და იმედს ვიტოვებ, რომ უახლოეს მომავალში სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცევა ზემოაღნიშნული საკითხი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას წარვუდგინე ინიციატივა „ვარდების რევოლუციის მოედნისთვის“ კვლავ „**რესპუბლიკის მოედნის**“ სახელის დაბრუნების თაობაზე.

  რესპუბლიკის მოედანს სახელწოდება 2005 წელს, 2003 წელს მომხდარი ე.წ. ვარდების რევოლუციის საპატივსაცემოდ გადაერქვა.

ვფიქრობ არასწორია რევოლუციების თუ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების გამარჯვების შემდეგ ქუჩებს, სკვერებს თუ მოედნებს შესაბამისი პოლიტიკური შინაარსის სახელები დაერქვას და ეს კომუნისტური მიდგომები უნდა შეიცვალოს.

„რესპუბლიკის მოედანი“ იქნება აპოლიტიკური სახელწოდება და ამავდროულად, თბილისის მოსახლეობისთვის მისაღები.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ დღესაც აღნიშნულ მოედანს ჩვენი მოსახლეობა **„რესპუბლიკის მოედანს“** უწოდებს, რადგან ეს თბილისის და თბილისელების ისტორიაა.

- მ/წლის 17 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ინიცირების სახით წარვუდგინე **,,ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ მოქმედი რედაქციის შესაბამისად, განსაზღვრულია, საცნობი ნიშნის გაცემისა და საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალების პარკირების წესი, რომლის თანახმადაც **საცნობი ნიშნის გაცემა სატრანსპორტო საშუალების პარკირების მიზნით, ხორციელდება მხოლოდ მკვეთრად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.**

შესაბამისად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეზღუდებათ საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილით სარგებლობა.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახლემწიფოები კრძალავენ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარ და ეფექტურ იურიდიულ დაცვას ყოველგვარი დისკრიმინაციისგან.

ამავე კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და ცხოვრების ყველა სფეროში მათი

სრულყოფილი მონაწილეობისათვის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის თანაბარი მისაწვდომობა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში.

აღნიშნული საერთაშორისო ვალდებულებების ქართულ კანონმდებლობაში რეალიზების მცდელობას წარმოადგენს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის.

აქვე აღსანიშნავია, ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერი, რომლის თანახმად პირდაპირ დისკრიმინაციად მიიჩნევა ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტურ და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან N33-99 დადგენილების მე-11 მუხლის რეგულაციის მიხედვით მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ერთმევათ უფლება ისარგებლონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გამოყოფილი ავტოსადგომით, რაც ზემოხსენებულ პირებს გაუმარტივებდათ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა მსგავსად საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილებზე მათ შორის სამკურნალო და სიცოცხლისათვის აუცილებელ სხვა ობიექტებამდე მიღწევას, გაიზარდა მიმართვიანობა შესაბამისი უწყებებისადმი, რათა არსებული შეღავათის გავრცელება მოხდეს, როგორ მნიშვნელოვნად, ასევე ზომიერად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზეც.

- აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო, როგორც ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებიდან, ასევე მოქმედი კანონმდებლობის ზემოაღნიშნული ნორმების დანაწესიდან გამომდინარე, ვალდებულია უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო, სოციალური თუ პროფესიული რეაბილიტაცია და შესაბამისად ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე როგორიც ტრანსპორტის ხელმისაწვდომობაა თავიდან უნდა იქნეს აცილებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გამოჩენა, დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხი, რათა **საცნობი ნიშნის გაცემა სატრანსპორტო საშუალების პარკირების მიზნით მოხდეს არამხოლოდ მკვეთრად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, არამედ მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე** პირებზეც.

- ჩართული ვარ საქართველოს პარლამენტში შექმნილ სამუშაო ჯგუფში, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების თაობაზე. ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა კონცეფცია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის საიტებზე განთავსებული სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიან თამაშობებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვებზე. ჩატარდა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, ფინასთა სამინისტროსთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან, ასევე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. შეიქმნა კანონპროექტების სამუშაო ვერსიები, რომელთა ინიცირებაც უახლოეს პერიოდში მოხდება.

- ჩემი ავტორობითა და ინიციატივით მოსახლეობის მრავალწლიანი პრობლემის მოგვარების მიზნით, შემუშავებულ იქნა **„საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ზონებში ხმაურის შემცირების გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების თაობაზე“ საკანონმდებლო წინადადება.**

იურიდიულ საკითხთა კომისია მთლიანობაში 3 /სამი/ წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტზე, რადგან

მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავდა აღნიშნული საკითხის მარეგულირებელ ნორმას.

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა გასართობი და სხვა დაწესებულებებიდან გამომავალი ხმაურის შედეგად, მოსახლეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის დარეგულირების საჭიროებამ.

იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოქალაქეთაგან შემოსული იყო არაერთი წერილი თუ საჩივარი, რომელთაც ზღვარგადასული ხმაურის გამო გაუსაძლის პირობებში უწევდათ ცხოვრება, ცხადყოფდა არსებული ვითარების დაუყოვნებლივ გამოსწორების საჭიროებას და მიუთითებდა აღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობაზე.

ჯერ კიდევ 2015 წლის 25 იანვარს, ასევე, 2016 წლის 26 სექტემბერს ჩემი ავტორობით შემუშავებული ზემოხსენებული კანონპროექტი საკანონმდებლო წინადადების სახით წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში, რომლის განხილვის მიზნითაც საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში **ეკა ბესელიას** ხელმძღვანელობით და პარლამენტის წევრების: **ლევან გოგიჩაიშვილისა** და **ბექა ოდიშარიას** აქტიური მონაწილეობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ბიზნესომბუდსმენმა, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, დედაქალაქის მოსახლეობამ და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელმა.

სამუშაო ჯგუფის საქმიანობის დასრულების შემდგომ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოახდინა კანონპროექტის ინიცირება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა ჩემს მიერ საკანონმდებლო წინადადების სახით წარდგენილ ე.წ. „**ხმაურის**" კანონპროექტს მ/წლის 28 ივნისს მხარი დაუჭირა 83 ხმით - არცერთი წინააღმდეგი.

შესაბამისად, მ/წლის 15 აგვისტოდან არამხოლოდ დედაქალაქის, არამედ საქართველოს მოსახლეობას, ჯანმრთელობისათვის უვნებელ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების საშუალება მიეცა.

- ჩემი ავტორობითა და ინიციატივით მ/წლის 9 ნოემბერს საქართველოს პარლამენტს წარვუდგინე **„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს**

კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საკანონმდებლო წინადადება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ არ შეიცავს მარეგულირებელ ნორმას, რომლითაც საქართველოს ბაზარზე ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევა შესაძლებელი იქნებოდა ქართულენოვანი ანოტაციით.

შესაბამისად, მომხმარებელს დღეის მდგომარეობით არ აქვს შესაძლებლობა გაეცნოს ფარმაცევტული პროდუქტის ძირითად მახასიათებლებს. მიზანშეწონილად ვთვლი, რომ მომხმარებელს ჰქონდეს წვდომა ქართულ ენაზე ფარმაცევტული პროდუქტის ისეთი მახასიათებლების შესახებ, როგორიცაა სხვა ფარმაცევტულ პროდუქტებთან ურთიერთქმედება, მიღების წესი და დოზირება, შენახვის პირობები, გვერდითი მოვლენები და ა.შ.

აგრეთვე, საქართველოს ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფარმაცევტული პროდუქციის უმრავლესობას არ აქვს თანდართული ანოტაცია სახელმწიფო ენაზე, რაც შეუძლებელს ხდის მომხმარებელთა უმრავლესობისთვის კონკრეტული პროდუქტის შესახებ სრული ინფორმაციის მიღებას.

აღნიშნული კანონპროექტი, რომელიც განაპირობებს კანონმდებლობის საფუძველზე კონკრეტული პირებისადმი ფარმაცევტული პროდუქტის ანოტაციის ქართულ ენაზე ავტორიზებული თარგმანის დართვის ვალდებულების დაკისრებას, ხელს შეუწყობს საქართველოს ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფარმაცევტული პროდუქტისადმი მომხმარებლის ნდობის ხარისხისა და ფარმაცევტული პროდუქტის ეფექტიანობასთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლებას.

ამასთანავე, მომხმარებლისათვის ფარმაცევტული პროდუქტის ქართულ ენაზე ავტორიზებულ თარგმანთან ერთად მიწოდება, განაპირობებს შესაძლო ზიანის გამომწვევი რისკის ფაქტორების შემცირებას.

კანონპროექტის შემუშავების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ისეთი სამართლებრივი რეგულაციების შემოღება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან.

კერძოდ, ევროსაბჭოს 1992 წლის 31 მარტის 92 /27/EEC დირექტივაში დეტალურად არის მითითებული ანოტაციის სავალდებულო მახასიათებლები. მაგალითად აღნიშნულია, რომ ანოტაციაში აუცილებლად უნდა მიეთითოს მედიკამენტის შემადგელობა, მწარმოებელი ქვეყანა, წამლის გამოყენების უკუჩვენებები, გამოყენების დოზა, მიღების ხანგრძლივობა და სხვა.

დირექტივის მე-8 მუხლის მიხედვით, მედიკამენტის ანოტაცია პაციენტისთვის გასაგები ტერმინებით უნდა იყოს შედგენილი, კონკრეტული სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ოფიციალური ენების გამოყენებით. აღნიშნული მუხლი, არ უშლის ხელს ანოტაციის დაბეჭდვას სხვადასხვა ენებზე, იმის გათვალისწინებით, რომ თარგმნილი ტექსტი ყველა გამოყენებულ ენაზე უნდა იყოს იდენტური.

კანონპროექტის მიღება შეესაბამება ასევე, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2001 წლის 6 ნოემბრის N2001/83/EG დირექტივას, რომლის შესაბამისად, მედიკამენტების ანოტაცია იმგვარად უნდა იქნეს შედგენილი, რომ მომხმარებლისთვის ინფორმაცია ნათელი და გასაგები იყოს. საჭიროების შემთხვევაში აგრეთვე დასაშვებია შესაბამის პროფესიონალთა დახმარება. მედიკამენტის ანოტაცია უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონკრეტული სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ევროკავშირის წევრი ქვეყნების სხვა ოფიციალურ ენებზე, სადაც ეს მედიკამენტი განთავსებულია ბაზარზე.

გასათვალისწინებელია ასევე, კანონპროექტის მომზადების პროცესში 21 ევროპული სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მიერ მიღებული კონსულტაციები.

2017 წლის 4 აგვისტოს გაგზავნილი წერილის პასუხად, ავსტრიის სახელმწიფოს "ჯანდაცვის და ქალთა საკითხების" სამინისტრომ გვაცნობა, რომ ავსტრიაში მედიკამენტზე ანოტაციის დართვა სავალდებულო პირობაა. ხოლო ანოტაციის დართვა საბაზრო ავტორიზაციის მფლობელისა და მწარმოებლის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ამასთანავე გვაცნობეს, რომ ავსტრიაში მედიკამენტების ანოტაციებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ავსტრიის მედიკამენტების შესახებ კანონით", რომლის მე-16 პარაგრაფის შესაბამისად, მედიკამენტის ანოტაციის გერმანულ ენაზე (ავსტრიის სახელმწიფო ენა) მითითება კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს.

2017 წლის 4 აგვისტოს გაგზავნილი წერილის პასუხად, **პორტუგალიის „მედიცინისა და მედიკამენტების ეროვნულმა ორგანომ"** გვაცნობა, რომ პორტუგალიის რესპუბლიკაში მედიკამენტების ანოტაციებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „მედიკამენტების შესახებ" კანონის 107-ე მუხლით, რომლის შესაბამისად სავალდებულოა, რომ მედიკამენტის ანოტაცია შედგენილ იქნეს პორტუგალიურ ენაზე. ამასთანავე, პორტუგალიურ ენასთან ერთად დასაშვებია სხვა ენების მითითებაც ტექსტის იდენტურობის შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემს მიერ, კანონპროექტის შემუშავება განაპირობა ჯანდაცვის სისტემაში შესაბამისი პოლიტიკის გატარების საჭიროებით

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა კომისიაში არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა ხაშურისა და სურამის ეპისკოპოსთან - მეუფე** სვიმეონთან, სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრის „ბანას“ დაარსების (აშენების) თაობაზე.

ჩვენი ჩართულობით მომზადდა ყველა აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტი, რაც საჭირო იყო აღნიშნული საუკუნის პროექტის განხორციელებისათვის და ხელი შეეწყო პროექტის დაწყების თანმდევი ღონისძიებების განხორციელებას.

სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსში დაფუძნდება სამედიცინო კვლევითი ცენტრი, სამკითხველო დარბაზები, ბიბლიოთეკა, წიგნსაცავი, ნაწილი კომპლექსისა დაეთმობა სამრეწველო საქმიანობას, როგორიცაა: ლითონზე ჭედურობა, ხეზე კვეთა, ხატწერა და სხვა.

„ბანას“ დაარსება საქართველოს ერთ-ერთ საეკლესიო და სახელმწიფოებრივ ისტორიულ ცენტრ - ბანასთან არის დაკავშირებული, რომელიც ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, მდინარე ბანის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს.